ვამტკიცებ

სალომე სარალიძე
სსიპ- აკაკი წერეთლის სა
ხელობის ქალქ ქუთაისის
#1 საჯარო სკოლის დირექტორი

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის
დისციპლინური კომიტეტის
დებულება

ქალაქი ქუთაისი
2014 წელი

სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის
სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის
დისციპლინური კომიტეტის მუშაობის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დისციპლინური გადაცდომა – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა;
ბ) დისციპლინური დევნა – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა;
გ) დისციპლინური სახდელი – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომისათვის გათვალისწინებული ზემოქმედების ზომა;
დ) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი – დოკუმენტი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული ზოგადი განათლების სისტემის მიზნებს. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი არის ეროვნული სასწავლო გეგმის და ზოგადი განათლების სისტემის ძირითადი მაჩვენებლების შემუშავების საფუძველი. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს იღებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად;
ო) ზოგადი განათლების საფეხურები – საქართველოში სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი);
ე) ზოგადი განათლების სისტემა – ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების, მათი განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, იმ სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების მიღებას;
ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც; (21.07.2010. N3530 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან.)
ზ) მოსწავლის ქცევის კოდექსი – მოსწავლის ქცევის წესების ერთობლიობა; (2.07.2010ზ. N3292)
თ) მშობელი – მოსწავლის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი;
ი) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური – შესაბამისი განათლების მქონე, ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; (22.02.2011. N4204)
კ) ექსპერტთა ჯგუფი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული ჯგუფი (ჯგუფები), რომელიც (რომლებიც) ამ კანონის შესაბამისად იღებს (იღებენ) გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის მიმართ გადამისამართების (რეფერალის) ღონისძიების გამოყენების შესახებ; (28.12.2011 N 5666 გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)
ლ) სოციალური მუშაკი – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი; (28.12.2011 N 5666 გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)
მ) სასკოლო დრო – სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლის მიერ ინიციირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული, აგრეთვე მისი სპონსორობით ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობის დრო;
ნ) სკოლის დირექცია – სკოლის დირექტორი, მისი მოადგილე/მოადგილეები და ბუღალტერია;
ო) სკოლის პედაგოგიური საბჭო – სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო;
პ) სკოლის სამეურვეო საბჭო – სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანო;
ჟ) პირადი გასინჯვა – მოქმედება, რომლის მიზანია დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენა და ამოღება სკოლაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, ხოლო მანდატურის არარსებობის შემთხვევაში – სკოლის საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ. (22.02.2011. N4204)

მუხლი 3. დისციპლინური კომიტეტის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები
3.1. სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის #1 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი

წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულ ორგანოს, რომლის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით შედის პედაგოგი მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე.

3.2. სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის #1 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი თავისი საქმიანობით შეესაბამება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა, საჯარო სკოლის წესდებას, სკოლის შინაგანაწესს და ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

3.3. სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის #1 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომების განხილვა;

მუხლი 4. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები

4.1. სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის #1 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი წარმოადგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულ ორგანოს, რომლის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით შედის პედაგოგი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე.

4.2. სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის #1 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი თავისი საქმიანობით შეესაბამება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

4.3. სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის #1საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

ა) სკოლაში მომხდარი დისციპლინური გადაცდომების განხილვა;

ბ) მოსწავლის 5–10 დღემდე ვადით დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

გ) სკოლიდან მოსწავლის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

მუხლი 5 . დისციპლინური კომიტეტის ფუნქციები

5.1 საჯარო სკოლის წესდების შესაბამისად სამეურვეო საბჭო ერთი წლის ვადით ირჩევს დისციპლინური კომიტეტის წევრებს;

5.2. დისციპლინური კომიტეტის წევრობის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს:

ა)სამეურვეო საბჭოს მშობლების მიერ არჩეულ წევრს;

ბ)პედაგოგიურ საბჭოს;

დ)საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას.

5.3.დაუშვებელია დისციპლინური კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მოწვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით.
5.4.დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში.

თავი II

სკოლის დისციპლინური კომიტეტის სამართლებრივი საფუძვლები, ურთიერთობა მესამე პირებთან, უფლება - მოვალეობები

მუხლი 6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.

6.1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი;

6.2. დისციპლინური კომიტეტის ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით;

6.3. სკოლის დისციპლინური კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით;

6.4. დისციპლინური კომიტეტის სხდომის დღის წესრიგი, სხდომაზე დამსწრეთა ვინაობა, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილებბები ფორმდება დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი;

თავი III
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

წინამდებარე დებულება შესაძლებელის შეიცვალოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობათა ცვლილების შესაბამისად.